

პირადობის დამადასტურებელი მოწმობა

მიღება-ჩაბარების აქტი

შპს „მიკრონეტ“-მა გადმომცა დროებით სარგებლობაში მოწყობილობა (მოწყობილობები) რომელსაც (რომლებსაც) დავაბრუნებ N ხელშეკრულების თანახმად.

მოწყობილობების ჩამონათვალი

მოწყობილობის დას.	მოწყობილობის MAC მის.	მოწყობილობის SN
-------------------	-----------------------	-----------------

მიღება-ჩაბარების აქტი წავიკითხე და ვეთანხმები: (ხელმოწერა)

მიმწოდებელი

შპს „მიკრონეტ“

ს/კ 204557960

ვებ გვერდი: www.micronet.ge

ელ ფოსტა: info@micronet.ge

მომხმარებელი

სახელი: -----

გვარი: -----

პირადობის ნომერი: -----

პირადი ნომერი: -----

მისამართი: -----

საკონტაქტო ტელეფონი: -----

ხელშეკრულება # -----

ქ.თბილისი

----- 201 -w.

შპს „მიკრონეტ“ („მიმწოდებელი/ოპერატორი“), ს/კ 204557960, იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, თელავის ქ.20გ./ფაქტობრივი მისამართი: ქ.თბილისი, ცოტნე დადიანის 265-267, 1 სართული, ოფისი #1, წარმოდგენილი დირექტორის დავით სიხარულიძის სახით, ერთის მხრივ და ფიზიკური პირი----- 3/ნ -----
-----მის: ----- („მომხმარებელი/აბონენტი“) მეორეს მხრივ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1 ხელშეკრულების საგანია ინტერნეტ მომსახურება აბონენტისთვის, მისგან ყოველთვიური სააბონენტო თანხის გადახდის პირობით.
- 1.2 ინტერნეტ მომსახურება წარმოებს მიკრონეტ-ის მიერ დადგენილი ტარიფებით, მომსახურების პირობებით (იხილეთ მიკრონეტის ვებ.გვერდზე www.micronet.ge) და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 1.3 ინტერნეტ მომსახურების ხარისხობრივი მაჩვენებელი: საშუალო დილეი 100მს, ჯიტერი <100მლ/წ, პაკეტების დანაკარგი (packet loss ratio) 3%, მინიმალური სიჩქარე 2 მბ/წ, ფაქტობრივად ხელმისაწვდომი სიჩქარე 4 მბ/წ, მაქსიმალური სიჩქარე 5 მბ/წ. ინტერნეტში განთავსებული რესურსები და/ან პაკეტის გადაცემის დაყოფნა მომხმარებლის არხის დაუტვირთაობის შემთხვევაში არ შეადგენს 200 მლ/წმ-ზე მეტს. პირველადი ჩართვის ვადა შეადგენს ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 სამუშაო დღეს.

2. ინტერნეტ-მომსახურების ხარისხი

- 2.1. ინტერნეტ-მომსახურება ხელმისაწვდომია დღე-ღამის 24 საათის განმავლობაში, უწყვეტად გარდა გადაუდებელი სარემონტო, პროფილაქტიკური სამუშაოების მიმდინარეობისა და შესაბამისი კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილ ტექნიკურ ნორმებს, სტანდარტებს და მიმწოდებლის ლიცენზიის პირობებს, ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს, 2.2, 2.3, 2.4 და 2.5 პუნქტებით განსაზღვრული გამოწვევების გათვალისწინებით.
- 2.2. მომსახურების შეუფერხებელი მიწოდების უზრუნველყოფა და ხარისხის დაცვა ქსელის აგებულების თავისებურებიდან გამომდინარე შეიძლება იყოს მიმწოდებლის კონტროლისა და შესაძლებლობის მიღმა. ნებისმიერი შეფერხება რომელიც გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოებებით ან/და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი სხვა კომპანიების ქსელის გაუმართაობით, აღნიშნული სცილდება ინტერნეტ-პროვაიდერისა და ოპერატორის ტექნიკურ შესაძლებლობებს და სცილდება მიმწოდებლის პასუხისმგებლობის ფარგლებს.
- 2.3. მიმწოდებელი არ არის პასუხისმგებელი მომსახურების შეფერხებების ან ნაკლოვანებებისათვის, იმ შემთხვევაში თუ მომხმარებლის ქსელში ფიქსირდება ხარვეზი, მომხმარებლის ანტენა არის შეზღუდული სხვა მხარეს, რაც საჭიროებს ლოკალურად პრობლემის იდენტიფიცირებას და მისი აღმოფხვრის დროის დადგენას.
- 2.4. მიმწოდებელი არ არის პასუხისმგებელი მომსახურების შეფერხებების ან ნაკლოვანებებისათვის, იმ შემთხვევაში თუ მომსახურების მისაღებად მომხმარებელი იყენებს გაუმართავ, დაზიანებულ ან დადგენილ ნორმებთან შეუსაბამო მოწყობილობას.
- 2.5. მიმწოდებელი უზრუნველყოფს მომსახურებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სიჩქარის ფარგლებში და შეთავაზებული მომსახურების ადეკვატურობას მიღებულ მომსახურებასთან, მაგრამ არ იძლევა გარანტიას, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სიჩქარის ფარგლებში შეერთება იქნება მაქსიმალურად შესაძლებელი სიჩქარის. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებასა და

მიღებულ მომსახურებას შორის შეუსაბამობის წარმოშობის შემთხვევაში მიმწოდებელი უზრუნველყოფს შესაბამისი ზომების მიღებას შეუსაბამობის დროული, ჯეროვანი და სრული აღკვეთის მიზნით.

3. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

- 3.1 მიმწოდებელს უფლება აქვს რამდენიმე ხანში ერთხელ გადახედოს ხელშეკრულებას და შეიტანოს მასში ცვლილებები, აბონენტისთვის 10 სამუშაო დღით ადრე შეტყობინების შემდეგ.
- 3.2 მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს აბონენტს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების თანხის გადახდა ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში.
- 3.3 აბონენტი უფლებამოსილია ისარგებლოს ინტერნეტ მომსახურებით დღე-ღამის ნებისმიერ დროს, 24 საათის განმავლობაში და გამოიყენოს იგი ნებისმიერი მიზნებისათვის, გარდა მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით აკრძალულისა;
- 3.4 აბონენტი უფლებამოსილია „მიკრონეტის“ 24 საათიანი ცხელი ხაზისგან (ტელ: 2 19 49 49) მიიღოს სატელეფონო კონსულტაციები ინტერნეტ მომსახურებასთან დაკავშირებით;
- 3.5 აბონენტს უფლება აქვს მოითხოვოს მომსახურების მიწოდების შეფერხების აღმოფხვრა მიმწოდებლისთვის სატელეფონი შეტყობინების გზით, ელ.ფოსტაზე info@micronet.ge წერილის გაგზავნით ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით ნომერზე 032 2 19 4949.
- 3.6 აბონენტი უფლებამოსილია მოითხოვოს მომსახურების საფასურის გადაანგარიშება, თუ „მიკრონეტ“-ის მიერ მომსახურების მიწოდება ხორციელდება შეფერხებით ან საერთოდ არ მიეწოდება და ერთი კალენდარული დღის განმავლობაში იგი აღემატება 3 საათს;
- 3.7 აბონენტი უფლებამოსილია მიმართოს „მიკრონეტ“-ს განცხადებითა და საჩივრით მიმწოდებლის მიერ მიწოდებული მომსახურების შესახებ;
- 3.8 აბონენტი ვალდებულია დროულად დაფაროს მიკრონეტ-ის მიერ გაწეული მომსახურების გადასახადი/თანხა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- 3.9 აბონენტი ვალდებულია უზრუნველყოს ნებისმიერ დროს „მიკრონეტ“-ის წარმომადგენლის დაშვება თავის ტერიტორიაზე ქსელში ჩართვის სამუშაოების ჩასატარებლად, აპარატურის შესამოწმებლად თუ საინსტალაციო სამუშაოების ჩასატარებლად, მიმწოდებლის მოთხოვნის შესაბამისად;
- 3.10 აბონენტის მიზეზით მომხდარი ნებისმიერი დაზიანება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მიმწოდებლის მიერ აბონენტისთვის მომსახურების მიწოდების შეფერხება, არ ათავისუფლებს აბონენტს მომსახურების ღირებულების გადახდისაგან;
- 3.11 აბონენტი კისრულობს პასუხისმგებლობას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ზიანი აბონენტისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული მოწყობილობების დაუბრუნებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულების შეწყვეტის დღიდან ჯარიმის ოდენობა განისაზღვროს 5 ლარით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;
- 3.12 აბონენტს ეკრძალება მიმწოდებელი ინტერნეტ მომსახურება გადაყიდოს სხვა მომხმარებელზე. მომსახურების გადაყიდვის ფაქტის დადგომის შემთხვევაში, აბონენტი კისრულობს პასუხისმგებლობას გადაიხადოს ჯარიმა 500 ლარის ოდენობით;
- 3.13 აბონენტი ვალდებულია გადაიხადოს მოწყობილობის (ეზის) დაკარგვის, არ დაბრუნების ან თავისი ბრალით დაზიანების და მწყობრიდან გამოყვანის შემთხვევაში, მოწყობილობის ღირებულება 300 ლარი, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აბონენტი არ გადაიხდის ამ საფასურს ერთი თვის ვადაში, ყოველ ვადაგადაცილებულ თვეზე არსებულ ჯარიმას დაემატება 50 ლარი.
- 3.14 აბონენტს ეკრძალება მიმწოდებლის მიერ დამონტაჟებული მოწყობილობის გადაადგილება;
- 3.15 აბონენტი ვალდებულია არ დაუშვას მიკრონეტის მოწყობილობასთან/აპარატურასთან უცხო პირი, უცხო პირად ჩაითვლება ნებისმიერი სხვა პირი, ვინც არ არის მიკრონეტის თანამშრომელი (თანამშრომელს თან უნდა ჰქონდეს თანამშრომლის დამადასტურებელი მოწმობა, კომპანიის დირექტორის ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებული);
- 3.16 ხელშეკრულების შეწყვეტისა და მოწყობილობის/აპარატურის ჩაბარებისას მომხმარებელი ვალდებულია მოითხოვოს მიღება-ჩაბარების აქტი მიკრონეტის ბეჭდითა და დირექტორის ხელმოწერით, წინააღმდეგ შემთხვევაში მოწყობილობა არ ჩაითვლება დაბრუნებულად და მიმწოდებელს უფლება აქვს იმოქმედოს ხელშეკრულების 2.13 პუნქტის შესაბამისად.

4. მომსახურების ღირებულება და გადახდის წესი

- 4.1 მომსახურების ყოველთვიური ღირებულება შეადგენს 25 ლარს.
- 4.2 მომსახურების ღირებულების გადახდა ხდება საანგარიშო პერიოდის პირველ დღეს
- 4.3 15 კალენდარულ დღეზე მეტი ხნით თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია დააბრუნოს მიკრონეტის მოწყობილობა/აპარატურა, ან ისარგებლოს ერთთვიანი მომსახურების შეჩერების სერვისით ერთჯერადად.
- 4.4 მიმწოდებლის მიზეზით მომსახურების 12 საათზე მეტი დროით მომსახურების შეწყვეტის მთელი დროისათვის აბონენტი თავისუფლდება ამ დღის საფასურის გადახდისაგან.
- 4.5 აბონენტის ბრალეულობის გარეშე მწყობრიდან გამოსული მოწყობილობა ამოიღება და შეიცვლება მიმწოდებლის ხარჯებით, გადასახადის გარეშე.

5. ხელშეკრულების დადება, ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

- 5.1 მხარეებს შორის ხელშეკრულება დადებულია უვადოდ. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ თავიანთი ვალდებულებების სრულს შესრულებამდე.
- 5.2 ხელშეკრულება ფორმდება ელექტრონული ფორმით. კერძოდ აბონენტი ხელშეკრულების პირობებს, ტარიფებსა და მომსახურების პირობებს ეცნობა მიკრონეტ-ის ვებ-გვერდზე www.micronet.ge ელექტრონული ფორმატით, ხელშეკრულებაში ავსებს საკუთარ რეკვიზიტებს და ხელშეკრულების პირობებზე თანხმობას ადასტურებს ელექტრონული ფორმით („ვეთანხმები“ გრაფის მონიშვნით). აღნიშნული თანხმობით აბონენტი ადასტურებს, რომ სრულად გაეცნო ხელშეკრულების პირობებს, სრულად გააცნობიერა მისი შინაარსი და სამართლებრივი შედეგები, სრულად ეთანხმება მის პირობებს და მისთვის სრულიად მისაღებია იგი. ელექტრონული ფორმით გაკეთებული თანხმობა უთანაბრდება აბონენტის მიერ ხელშეკრულების ფიზიკურ ხელმოწერას და აქვს მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა. აღნიშნული ხელშეკრულება ინახება მიმწოდებელთან ელექტრონულად ბაზაში, აბონენტის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად. ასევე მიკრონეტ-ის ვებ გვერდზე www.micronet.ge. აბონენტს ხელშეკრულების ასლის ნახვა შეუძლია მიკრონეტ-ის ვებ. გვერდზე www.micronet.ge.
- 4.2. ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებით მხარეები წინასწარ აცნობებენ ერთმანეთს წერილობით ერთი თვით ადრე ან ზეპირად სატელეფონო შეტყობინების გზით.

6. გარდამავალი დებულებები

- 5.1. მხარეები ერთმანეთს შორის წამოჭრილ სადაო საკითხებს აგვარებენ/ წყვეტენ ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, აბონენტს შეუძლია ერთჯერადად პრეტენზიით/საჩივრით მიმართოს მიკრონეტის აბონენტთა პრეტენზიების განხილველ სამსახურს, მომსახურების ხარისხთან, ნებისმიერ ხარვეზთან დაკავშირებით (**ზეპირი ფორმით ცხელ ხაზზე 2 19 49 49, წერილობითი ფორმით მიკრონეტის ადმინისტრაციული ოფისის მისამართზე: თბილისი, ცოტნე დადიანის გამზ. #265-267, სართული 1, ოფისი #1, ან ელ.ფოსტაზე: legal@micronet.ge**).
- 5.2. წერილობითი საჩივარი/პრეტენზია შედგენილ უნდა იქნეს განცხადების ფორმით. საჩივარში/პრეტენზიაში აბონენტმა უნდა მიუთითოს ვინაობა, აბონენტის ნომერი საკონტაქტო ინფორმაცია, მისამართი, სრულყოფილად აღწეროს თუ რა მიაჩნია მიმწოდებლის მხრიდან არასწორ ან არასამართლიან ქმედებად, მისი მოთხოვნა და გარემოებები, რომელსაც მოთხოვნა ეფუძნება. აბონენტის მიერ წარდგენილი საჩივარი/პრეტენზია მიკრონეტის მიერ განხილულ იქნება 15 სამუშაო დღის ვადაში.

ინფორმაცია ტარიფების და მომსახურების სხვა პირობების (აგრეთვე დამატებითი პირობების) შესახებ მოცემულია ოპერატორის ვებ-გვერდზე: www.micronet.ge წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ტარიფები, გადასახდელები და საფასური შეიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

გავეცანი და ვეთანხმები მიკრონეტის მომსახურების გაწვევის პირობებს, ამ ხელშეკრულებას და სატარიფო გეგმას, რომელსაც გავეცანი მიკრონეტის ვებ-გვერდზე (www.micronet.ge).

შპს „მიკრონეტ“

საქართველო, თბილისი, ცოტნე დადიანის 265-267, სართული 1, ოფისი 1

საიდენტიფიკაციო კოდი : 204557960

ტელ: 2 19 49 49

მომსახურე ბანკი: „ვითიზი ბანკი ჯორჯია“

ანგ.ლარი: GE79VT110000000093607

ბანკის კოდი: UGEBGE22